ზეიმი, რომელიც მუდამ თან გახლავს

ერთობის, ძმობის თვალწარმტაცი თაიგული გაიფურჩქნა რუხის ციხე-სიმაგრის ძველთაძველ გალავანთან საქართველოს ახალგაზრდობის მეგობრობის ტრადიციულ დღესასწაულზე, ამ ლეგენდარული ნალიმის მიწაზე კვლავ მოიყარა თავი რესპუბლიკის სიჭაბუკემ, რათა სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავის წელს კიდევ ერთხელ დაედასტურებინა ერთგულება ქართველი და აფხაზი ხალხების, ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ურღვევი ძმობისადმი.

რუხში გამართულ პირველ დღესასწაულზე შეხვდნენ ერთმანეთს და დამეგობრდნენ ინგა ხვიტია ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლიდან და რიმა ზუმბა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნიდან. ინგა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა, აღტაცებული იყო თავისი ახალი აფხაზი დობილით — საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატით, მისი რგოლის მუშაობით, რომელიც ყოველწლიურად ჩაის რეკორდულ მოსავალს იწევდა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ინგამ მიებაძა დობილისათვის — დარჩენილიყო სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ კოლმეურნეობაში, ჩამოეყალიბებინა მეჩაიეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი და შეჯიბრებაში გამოეწვია რიმას რგოლი.

ეს წლევანდელ დღესასწაულზე მოხდა, როცა ინგა ხვიტიამ, რომელიც უკვე რგოლს ხელმძღვანელობს, თავისი სახელგანთქმული მეტოქე გამოიწვია. ახალსოფლელებმა სტუმრად მიიპატიჟეს აფხაზი მეგობრები და უამბეს მათ თავიანთი მეურნეობის სახელოვანი ტრადიციების შესახებ, მეურნეობისა, რომელმაც 51 სოციალისტური შრომის გმირი აღუზარდა სამშობლოს, ილაპარაკეს კოლმეურნეობის მშრომელთა დღევანდელ მიღწევებზე — ახალსოფლელები ხომ მტკიცედ ლიდერობენ საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებას. სტუმრებმა ინტერესით შეიტყვეს, რომ ამ მეურნეობის საპატიო წევრებად ამ დღეებში არჩიეს მათი თანამემამულეები — პოეტი კონსტანტინე გერეხელია და მწერალი ევგენი აკუბარდია. სწორედ იმ დღეებში აჟღერდა აქ პირველად აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე კონსტანტინე გერხელიას პუბლიცისტური პოემა „თანატოლები", რომელიც ორ სახელგანთქმულ შრომის გმირს — თამარ ყუფუნიასა და მარიამ აღლეიბას ეძღვნება.

— გავა წლები და, დარწმუნებული ვარ, ასეთივე პოემა მიეძღვნება რიმა ზუმბასა და ინგა ხვიტიასაც, — თქვა კ. გერხელიამ.

ამ დღეს ზუგდიდის რაიონის სხვა მეურნეობების ახალგაზრდა გვარდიელებმაც დაუდეს ღირსშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავი შრომითი მეტოქეობის ანალოგიური ხელშეკრულებანი აფხაზ მეგობრებსა და კოლეგებს. მაგალითად, ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს სოფელ ინგირის კოლმეურნეობისა და გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის, ზედა ეწრის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმისა და ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა კოლექტივებმა. ყოველი ხელშეკრულება თვალნათლივ ცხადყოფს, რა ძალის, რა ძალუმი სამუშაო სტიმულის მომნიჭებელია მეგობრობა.

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი

ძველთაძველი ციხე-სიმაგრის ქალარა გალავანი ეგებებოდა ადამიანების უწყვეტ ნაკადს, რუხში რომ იყრიდნენ თავს ამ დღეს. ყველას სურდა დასწრებოდა მეგობრობის სახალხო აკადემიის დაარსების საზეიმო ცერემონიალს, და ამიტომ დანიშნულ დრომდე კარგა ხნით ადრე გაივსო ციხე-სიმაგრის მთელი ტერიტორია დღესასწაულის მონაწილეებით. საუკუნოდ დამოყვრებულ მოძმე ხალხთა გულების მოწოდების ერთგულნი, ისინი მოვიდნენ აქ, რათა კიდევ ერთხელ ზიარებოდნენ ისტორიას, მადლიერებით მოეგონებინათ ის დაძმობილებული გმირები — ქართველები, აფხაზები, რუსები, რომელთა გაერთიანებულმა ლაშქარმა გამანადგურებელი დამარცხება აგემა აქ გადამთიელ დამპყრობლებს. ისინი მოვიდნენ აქ, რათა შეეფიცათ ერთმანეთისათვის ძმობა, დაედოთ პირობა, რომ კვლავაც განამტკიცებენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შედუღაბებული ქართველი და აფხაზი ხალხების, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის მეგობრობას.

რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმოგზავნილებთან ერთად აქ თავი მოიყარეს პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებმა, წარმოების ცნობილმა ნოვატორებმა, თვალსაჩინო მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. დადგა საზეიმო წუთი. ციხე-სიმაგრის ცენტრალურ შესასვლელთან გამოჩნდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც გვირგვინები უკავიათ, ავტომანქანების სპეციალური ესკორტი მიემართება სოფელ კოკში, რათა გვირგვინებით შეამკონ ნალიმის გმირების ობელისკი — ძეგლი, რომელიც განასახიერებს დაძმობილებულ მეომართა უკვდავ გმირობას. ეს დღესასწაული ხომ მათ ეძღვნებათ, მათ სიმამაცეს, ვაჟკაცობას, გმირობას, სისხლით შედუღაბებულ მეგობრობას.

იწყება მიტინგი. მიტინგის გახსნისას პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ი. თოდუა აცხადებს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" ერთობლივ გადაწყვეტილებას რუხში მეგობრობის სახალხო აკადემიის შექმნის შესახებ.

ამ აკადემიის მიზნებისა და ამოცანების, ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის ახალი კერის მაღალი დანიშნულების შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ.

ხალხთა მეგობრობისა და ქვეყნად მშვიდობის თემები მჭიდროდ გადაეჯდო ერთმანეთს დღესასწაულზე. მისმა ყველა მონაწილემ მშვიდობის მარშით ჩაიარა ციხე-სიმაგრის ძველი კედლებიდან ზეიმის ტრადიციულ ადგილამდე. დემონსტრანტთა კოლონებში არიან ახალგაზრდა მშენებლები და მეჩაიეები, მეცნიერები და მეშახტეები, მეციტრუსეები და მეცხოველეები, პედაგოგები, ექიმები, სტუდენტები... მთელ გზაზე ისინი ადიდებდნენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობასა და ძმობას, მშვიდობასა და მოწმენდილ ცის პლანეტის თავზე.

დღესასწაულზე ზუგდიდის რაიონის კომკავშირელებს გადასცეს ალბომ-ესტაფეტა, რომლის დევიზია „ჩვენ მეგობრობა წინაპრებმა მემკვიდრეობად დაგვიტოვეს". გალის რაიონიდან ჩამოტანილი ალბომი ასახავს ამ რაიონის ახალგაზრდობის დამკვრელურ საქმეებს საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში. გავა რამდენიმე დღე და ალბომი-ესტაფეტა კვლავ სხვას გადაეცემა. მასში უკვე ჩაწერილი იქნება ზუგდიდელთა სახელოვანი საქმენი.

რუხში გამართულ ახალგაზრდობის დღესასწაულს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი ვ. პორტნოვი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები. (საქინფორმი).

* * *

სურათზე: 11 სექტემბერს რუხში გამართული ახალგაზრდული ზეიმი.

ო. ჭოხონელიძის ფოტო.
(საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 177
(7238)

14 1982 წ.
სექტემბერი,
შაბათი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ქართველი ფალავნები— გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე

თემო ყაზარაშვილისა და თეიმურაზ აფხაზავას ოქროს მედლები

გამეორდა შარშანდელი ისტორია — კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კვლავ ორი ქართველი ფალავანი ავიდა — თემო ყაზარაშვილი (48 კგ, თბილისი, „შრომითი რეზერვები", მწვრთნელი ი. ჩხარტიშვილი) და თეიმურაზ აფხაზავა (82 კგ, ქუთაისი, „დინამო", მწვრთნელი ი. ბობოხიძე). შარშან ოსლოში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ ვახტანგ ბლაგიძე და მიხეილ სალაძე.

ჩვენი სპორტსმენების გამარჯვების ამბავი გუშინ მოვიდა პოლონეთის ქალაქ კატოვიცედან, სადაც პლანეტის უძლიერესი „კლასიკოსები" ასპარეზობდნენ. ყაზარაშვილსა და აფხაზავას კარგად იცნობენ ჭიდაობის მოყვარულები. აგერ მერამდენე წელიწადია ერთიც და მეორეც სტაბილურად გამოდის საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, თუმცა ამ რანგის შეჯიბრებაში არასოდეს უასპარეზიათ. და აი, პირველივე ცდა გამარჯვებით დაგვირგვინდა— „საჭიდაო ევერესტი" დაპყრობილია!

სულ საბჭოთა მოჭიდავეებმა 4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მჩატე წონაში ჩემპიონი გახდა ერევნელი ბ. ფაშაიანი, 68 კგ წონაში კი ზაპოროჟიელი გ. ერმილოვი. სარანსკელ რ. ნასიბულოვს (62) ვერცხლის მედალი გადაეცა, კიროველ ვ. ფომინს (57), მოსკოველ ა. ქუდრიავცევსა (74) და ვიტებსკელ ი. კანიგინს (90) — ბრინჯაოსი. დანარჩენ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ პ. მიხალიკი (57, პოლონეთი), რ. შვერადი (62, პოლონეთი), შ. რუსუ (74, რუმინეთი), ფ. ანდერსონი (90, შვეცია), რ. ვროცლავსკი (100, პოლონეთი) და ნ. დინევი (+100, ბულგარეთი). მძიმე წონაში ასპარეზობდა თბილისელი ა. მაჭურაძეც, მაგრამ პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: სსრ კავშირი — 46 ქულა, პოლონეთი — 31, ბულგარეთი — 30.

* * *

სურათებზე: თ. ყაზარაშვილი (მარცხნივ) და თ. აფხაზავა.
ა. კოტორაშვილის ფოტოები.

სარბიელი — მთელი ქალაქი

კვირას თბილისელებმა მორბენლის საკავშირო დღე აღნიშნეს, დაიწყო ფიზიკური კულტურისა და სპორტის კვირეული

სირბილი ამ ქვეყნად ადამიანთან ერთად გაჩნდა. ეს ძველი ჭეშმარიტებაა. რაც შეეხება რბენას ჯანმრთელობისათვის, მას ჩვენში მოკრძალებული ისტორია აქვს, დაახლოებით 15-20 წელიწადს ითვლის, უფრო ზუსტად, ცნობილია ახალზელანდიელი სპეციალისტის გ. გილმორის წიგნის „რბენა სიცოცხლისათვის" გამოსვლის შემდეგ. ეგრეთ წოდებულ ჟუნჟულით რბენას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა მთელს მსოფლიოში, სოკოებივით გამრავლდა რბენის მოყვარულთა კლუბებიც...

ერთი სიტყვით, ორი ათეული წელიწადია, რაც ჩვენს პლანეტაზე ყველას სირბილი აკერია პირზე, და ამიტომ კარგა ხანია მომწიფდა „მორბენლის დღის" ჩატარების იდეაც. სიზუსტისათვის უნდა აღინიშნოს, რომ რბენას ჯანმრთელობისათვის ახლო მომავალში შეიძლება 100 წლის იუბილეც გადავუხადოთ. საქმე ისაა, რომ 1888 წელს ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა პეტერბურგის მახლობლად სოფელ ტიარლევოში რომ ისვენებდა, ჩამოაყალიბა ძუნძულით რბენის მოყვარულთა კლუბი და მალე პირველი ოფიციალური შეჯიბრებაც ჩაატარა 4 ვერსზე.

...თბილის-ქალაქი ერთ დიდ სტადიონად გადაიქცა — სტადიონად, რომელსაც... საბედნიეროდ, არ ჰყავდა მაყურებელი, რადგან ყველა მონაწილე იყო, ყველა მირბოდა. ვისაც სუნთქვა არ ჰყოფნიდა, სიარულით განაგრძობდა სვლას, ზოგი ჩერდებოდა კიდეც, მაგრამ ერთ ან ორ-წუთიანი შესვენების შემდეგ კვლავ განაგრძობდა გზას ფინიშისაკენ. ასეა: ადამიანს უყვარს სწრაფვა დასახული მიზნისაკენ, გამარჯვებისაკენ.

ჩვენი ქალაქის 9-ვე რაიონში დილიდანვე გამოცოცხლება იგრძნობოდა. ქუჩებში სპორტულ ფორმაში გამოწყობილი გოგო-ბიჭები გამოჩნდნენ, სულ პატარებიც ამაყად მოაბიჯებდნენ მორბენლის დღის ემბლემით მკერდდამშვენებულნი, სტარტისაკენ მიიჩქაროდნენ 60, 65, 70 წლის ხანშიშესულნიც...

როგორც ყოველთვის, ზეიმობისას, ამჯერადაც ხალხმრავლობა იყო რიყეზე — თბილისელთა თავშეყრის ტრადიციულ ადგილზე. სწორედ აქ ჰქონდა ფინიში თბილისის სამი რაიონის — კალინინის, კიროვის და 26 კომისრის სახელობის წარმომადგენლებს. ორგანიზატორებს ლამაზად გაუფორმებიათ შეჯიბრების ადგილები — სტარტი, თვით ტრასა, ფინიში. „სპორტი შენი მეგობარია!", „ირბინე ჯანმრთელობისათვის!", „ყველას ველით სტარტზე!", „მთავარია არა გამარჯვება, არამედ, მონაწილეობა!" — ასეთი წარწერები ამშვენებდა მოზეიმე თბილისის ქუჩებს. ბევრგან, მსუბუქი სპორტული ინვენტარიც იყიდებოდა.

ათი ათასობით მორბენალმა აიღო სტარტი ქალაქის გულში — ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე. პუშკინის ქუჩის, კოლმეურნეობის მოედნის და ნ. ბარათაშვილის ხიდის გავლით მათ გეზი რიყეზე გამართული ფინიშისაკენ აიღეს.. ძნელია ითქვას, ვინ იყო პირველი ფინიშთან. ალბათ, ყველა პირველი იყო, ყველა გამარჯვებული გახლდათ. ვინ მოთვლის რამდენს გაუჩნდა სურვილი... განაგრძოს რბენის დისტანცია მთელი ცხოვრების მანძილზე; სამუდამოდ ეზიაროს სპორტს.

ჩვენ გავესაუბრეთ ამ დიდი ზეიმის რამდენიმე მონაწილეს.

აი, ძველი ნაცნობი — რესპუბლიკის ნიჩბოსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, 53 წლის თეზო ნეგეფტიდი. იგი სათავეში ედგა კიროვის რაიონის მორბენალთა იმ 15-ათასიან „გუნდს", რომელმაც 300 არაგველის ძეგლთან აიღო სტარტი.

— 1500 მეტრი გავირბინე. ძალიან კმაყოფილი ვარ. რაც შეიძლება ხშირად უნდა ჩატარდეს ასეთი ღონისძიებები. პირადად მე, ცხადია, ყოველდღიურად ვვარჯიშობ. დავრბივარ, როგორც კი დროს ვიხელთებ — ბოტანიკურ ბაღში თუ ნარიყალაზე, თბილისის ზღვის მიდამოებში თუ მცხეთაში.

42 წლის ციალა ჯიბლაძე — რესპუბლიკის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი:

— რომ არ მოგატყუოთ, ბოლომდე ვერ ვირბინე — მეტეხის ხიდზე შევჩერდი... ძალა აღარ მეყო. ათას მეტრამდე მაინც გამომივიდა. არა უშავს, — დღეიდან შევუდგები ვარჯიშს, ვნახოთ...

— 84-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე ნანა ვალგასოვა:

—ნეტავ ხშირად იმართებოდეს ასეთი შეჯიბრება. სირბილი ძალიან მომწონს, მაგრამ მე მაინც ცურვის სექციაში უნდა ვიარო.

რიყის ცენტრში, იმპროვიზირებული მოედნის გარშემო გულშემატკივრებს ცოცხალი კედელი აღემართათ — მიმდინარეობდა „სამკვდრო-სასიცოცხლო" ბრძოლა მინი-ფეხბურთში.

— ყურადღება მიაქციეთ აი, იმ თმაშევერცხლილ „ფეხბურთელს" — პროფესორი გუგული გოდერძიშვილია! — გვითხრა ამ საინტერესო ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ქალაქის სპორტკომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის განყოფილების მუშაკმა არჩევან ნიკოლაიშვილმა.

ვაცალეთ მატჩი გამარჯვებამდე მიეყვანა, მერე კი წარმატება მივულოცეთ და საუბარიც აეწყო. 54 წლის გ. გოდერძიშვილმა — საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის კათედრის გამგემ, მეცხიერების დამსახურებულმა მოღვაწემ — იმ დღეს 600-მეტრიანი დისტანცია გაირბინა (ფინიშთან პირველ ათეულში მივიდა) და მერე ნახევარსაათიან თამაშში ჩაება.

— ძალზე საინტერესო საქმეს ეყრება საფუძველი. ხომ იცით, ერთიმეორეს წახედვით... ყველა გამოვიდა სტარტზე. ხუმრობა იქით იყოს და პირდაპირ გულს უხაროდა სპორტული თბილისის ხილვა და შეგრძნება... დილაობით მუდამ ვვარჯიშობ, ინსტიტუტის სპორტდარბაზში ფეხბურთისათვისაც ვიცლი, სხვათა შორის, ჩვენმა სასწავლებელმა დღევანდელ ზეიმზე 1300 მორბენალი გამოიყვანა, ამ თამაშში მონაწილენიც ჩვენები არიან — სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. არ მეგონა, ახალგაზრდებს თუ დავჯაბნიდით.

მოუბარს იქვე მდგომი ინსტიტუტელი კოლეგა დოცენტი იაშა შუბითიძე გაეხუმრა.

— ისეთი თაური დაარტყი დასაწყისში, ყიფიანსაც შეშურდებოდა, ორი სანტიმეტრით ასცდა ბურთი კარს.

— რას იზამ, კარი დაბალი იყო!...

შუაღამემდე გრძელდებოდა საინტერესო, მეტად მხიარული შეჯიბრებები ფრენბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკში, შაშში, სიმძიმეების აწევაში, ბაგირის გადაძალვაში...

რიყედან მომავალნი კვლავ შევხვდით ძველ ნაცნობებს — სპორტის გამოცდილ მუშაკებს ვლადიმერ კანკავასა და გურამ თოხაძეს.

— იცნობდეთ, ჩვენი ქალაქის სტუმარი და... რბენის დღის მონაწილე!

52 წლის ჩელიაბინსკელი პედაგოგი ივან იარესკო თბილისის გავლით ქობულეთს მიემგზავრებოდა დასასვენებლად.

— ჩემი თვითმფრინავი 2 საათზე მიფრინავს. დილით ქუჩაში გამოვედი სასეირნოდ. ლენინის მოედანზე მორბენლები იკრიბებოდნენ. მეც ჩავდექი მონაწილეთა შორის და 1500 მეტრი გავირბინე. ამ მოედანზე (სტუმარს მხედველობაში ჰქონდა რიყე) წითელი წარწერა შევნიშნე. „რა წერია მეთქი?" — ვიკითხე. „ფინიში" — მიპასუხა [illegible] მორბენალმა. იგი თქვენი ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებელი სერგო კობაძია გამოდგა, ტანვარჯიშის კათედრიდან. აი, ეს სამკერდე ნიშანი და ვიმპელი მისახსოვრა, სამუდამოდ შევინახავ ამ რელიქვიას, რომელიც მუდამ მომაგონებს მორბენლის შესანიშნავ დღეს მზიური საქართველოს დედაქალაქში.

...სწრაფად ჩაგვიქროლა მოტოციკლმა. შეგვამჩნია, დაამუხრუჭა. ასეც ვიცოდით — გივი დარბაისელი! წარსულში შესანიშნავი მოკრივე, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი. ასეთ დიდ სპორტულ ზეიმს აბა როგორ გამოაკლდებოდა.

— მეც ვირბინე და ჩემმა ბიჭებმაც. ზურიკო (იგი 9 წლისაა) ფინიშთან მეორე იყო, ლევანი (8 წლის) კი — მესამე. 400 მეტრი „ლოკომოტივის" სტადიონზე ბოლომდე გაირბინეს. სტადიონზე პირველად იყვნენ, ძალიან მოეწონათ. 151-ე სკოლაში სწავლობენ. პატარას ძალიან უყვარს სპორტი, უფროსი კი მსახიობობაზე ოცნებობს.

— კრივი? — დავეკითხეთ ჩვენ.

გივიმ რაღაც უჩურჩულა ნორჩებს და მათ იქვე, ქუჩაში წარმოგვიდგინეს ორრაუნდიანი ბრძოლა. „ჭიდაობაც ვიცით!" — გვითხრეს გამომშვიდობებისას...

ო. ნოზაძე.

• • •

პლეხანოვის გამზირზე პირველი მაისისა და ოქტომბრის რაიონების საწარმოთა წარმომადგენლები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. აი, მორბენლებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი „დინამოს" სტადიონთან. ბევრს ეტყობოდა, მაინცდამაინც ახალბედა რომ არ იყო. ერთი მათგანი განსაკუთრებულ მონდომებას იჩენდა. იგი სსრ კავშირის 50 წლის თავის სახელობის გაერთიანების მუშა ბორის გიორგობიანი აღმოჩნდა:

— ჩვენი საწარმო ხშირად მართავს შეჯიბრებებს სხვადასხვა ქარხნის კოლექტივებთან. სირბილი ჩემი საყვარელი სახეობაა. 35 წლისა ვარ, მშვენივრად ვგრძნობ თავს. ავადმყოფობას არასდროს შევუწუხებივარ. — მე ხომ სისტემატურად ვვარჯიშობ. ვარჯიშის შემდეგ შრომაც ხალისიანია და ეფექტიანიც.

ზეიმმა „დინამოს" სტადიონზე გადაინაცვლა.

სტადიონის სარბენ ბილიკებს თბილისის საშუალო სკოლების მოსწავლეებს დაუთმო. იმართება შეჯიბრებები სხვადასხვა დისტანციაზე. პატარებმა და ჭაბუკებმა დიდ მონდომებას იჩენენ და საკმაო მოხდენილად გარბიან. რბენის შემდეგ ხალისიანად საუბრობენ თბილისის 124-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელები გოგა სოლომნიშვილი, გია ცხოვრებაშვილი, ნუკრი ხუციშვილი, მამუკა გრიგალაშვილი...

— გადავწყვიტეთ სერიოზულად შევუდგეთ ვარჯიშს, —გვითხრეს მათ.

მართლაცდა, ვინ იცის, რამდენი მომავალი ჩემპიონი და რეკორდსმენია აი, ამ სარბენ ბილიკებზე...

„დინამოს" სტადიონზე გამართულ შეჯიბრებათა მთავარმა მსაჯმა — საკავშირო კატეგორიის საპატიო არბიტრმა, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტმა ვალერი ვამაკიძემ გვითხრა:

— სასიხარულოა, რომ ღონისძიება ასე მასობრივად წარიმართა, სირბილი ყველასათვის მისაწვდომია, ამიტომ მას განსაკუთრებით ბევრი ეტანება. ალბათ, მალე ჩამოყალიბდება რბენის მოყვარულთა ახალი კლუბები. ნებისმიერ თბილისელს მიეცემა მწვრთნელებისა და ექიმების მეთვალყურეობით ვარჯიშის საშუალება. პირადად ჩემს ცხოვრებაში სპორტს დიდი ადგილი უთმობა. წლოვანების მიუხედავად, საკმაოდ მხნედ ვგრძნობ თავს.

„დინამოს" სტადიონზე სპორტული ზეიმი კარგა ხანს გაგრძელდა.

... ბრუნდებოდნენ სტადიონიდან თბილისელები, დარწმუნებული იმაში, რომ ამ საინტერესო შეჯიბრების შემდეგ შრომა და სწავლა უფრო ხალისიანი იქნება.

მ. ფაჩუაშვილი.

* * *

სურათებზე: (ზევით, მარცხნიდან) მხურვალე ტაშით შეეგება 11 სექტემბერს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი მორბენლის დღისადმი მიძღვნილ დინამოელთა მძლეოსნური გადარბენის „ორჯონიკიძე-თბილისის" მონაწილეებს. მორბენლებს შორის იყო სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ვიქტორ სანეევი (სურათზე წინა რიგში მარცხნიდან მესამე); მარჯვნივ — სასიამოვნოა, როდესაც შენს გვერდით დარბის ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, რომან რურუა, (სურათზე მარჯვნიდან მეორე); ქვევით — სტუდენტი გოგონები კუს ტბაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს 500-მეტრიან დისტანციაზე; ესენი კი, „ლოკომოტივის" სტადიონზე მოასპარეზენი, 61-ე სკოლის მესამეკლასელები არიან; კიროვის რაიონის სპორტსმენებმა სტარტი 300 არაგველის ობელისკთან აიღეს.

ა. კოტორაშვილის, შ. დევნოზაშვილისა და ვ. გოგაძის ფოტოები.

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 11 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 3:1 (2:0).

„დინამო“: მჭედლიძე (გაბელია), ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, მესხი, ცავა, შენგელია (ჯოხაძე).

„დნეპრი“: კონსევიჩი, კუტუზოვი, დილაი, ბობრიკოვი, ლისენკო, დამინი (ლიტოვჩენკო), შურშინი (ლიუტი), სერებრიანსკი, უსტიმჩიკი, პოგორელოვი, ფედორენკო.

მსაჯი — კ. დორონინი (მოსკოვი).

სპარინგი „დნეპრთან“

. სანამ უშუალოდ თამაშს შევეხებოდე, მკითხველს შევთავაზებ საუბრის ნაწყვეტებს, რომელიც სწორედ „დნეპრთან“ მატჩის წინ გაიმართა. „ნაწყვეტებს“ იმიტომ, რომ ჩემი თანამოსაუბრის — „ნაპოლის“ მეორე მწვრთნელის პაოლო სპეკიას შეხედულებები ფეხბურთის საკითხებზე, ბევრ რამეში ემთხვევა უეფა-ს გენერალური მდივნის ჰანს ბანგერტერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. ბუნებრივია, ისევ მომიხდა ორიოდე დღის წინ მიცემული შეკითხვების გამეორება და ფეხბურთის მოყვარულს თავი რომ არ მოვაბეზრო, „ნაწყვეტებსაც“ იმიტომ მივმართე.

მსოფლიო ჩემპიონატში „სკუადრა აძურას“ გამარჯვების შემდეგ ნებისმიერი იტალიელი სპეციალისტი ჟურნალისტისთვის, რომ იტყვიან, „ნუგბარი ლუკმაა“. ჩვენთვის ეს ინტერესი, „ნაპოლისთან“ შეხვედრის წინ, რასაკვირველია ორმაგდება.

— არგენტინაში იტალიელებს საკმაოდ სიმპათიური გუნდი გყავდათ. წინასწარი შეხვედრების შემდეგ თქვენ ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად გასახელებდნენ. როგორ აფასებდით იტალიის ნაკრების შანსებს ესპანეთის ჩემპიონატის წინ?

— სუსტი და უპრეტენზიო გუნდი იტალიელებს იშვიათად ჩაუყვანიათ მსოფლიო ჩემპიონატებზე. იმის თქმაც შეიძლება, რომ ჩვენი ნაკრები ორიგინალური ტაქტიკის წყალობით ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ ბოლო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრეც კი ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ყველაფერი ასე იღბლიანად დასრულდებოდა.

— სიტყვა „იღბლიანს“ რაიმე დატვირთვას ანიჭებთ თუ სხვათა შორის იხმარეთ?

— ესპანეთის ჩემპიონატის მთავარი ნიშანი გუნდების კლასის ერთგვარი გათანაბრებაა. ამ პირობებში სპორტულ იღბალს თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ...

— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, ყოველთვის არა, მაგრამ რამდენიმე მატჩში, განსაკუთრებით კი ბრაზილიელებთან, აშკარად გვწყალობდა ბედი. თვითონ განსაჯეთ, იტალიელებმა გამოიყენეს ყველა საგოლე მომენტი. ხომ შეიძლებოდა ერთ-ერთი იმ შეტევათაგანი გოლით არ დასრულებულიყო, ხომ შეიძლებოდა, რომელიმე დარტყმა მეკარეს მოეგერიებინა? იტალიამ ის გადამწყვეტი თამაში მოიგო, მაგრამ შესაძლებელია იმ პერიოდში ბრაზილიელებთან ათი მატჩი გვეთამაშა და ცხრა წაგვეგო. ცხადია, ფეხბურთში არსებობს ტექნიკა, ტაქტიკა, ათლეტური მომზადება, მაგრამ არ არსებობს აბსოლუტური ღირებულება, რომლის მიხედვითაც შედეგის ჭეშმარიტ ლოგიკურობაზე ვიმსჯელებდით. მით უფრო, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, დღეს, როცა გუნდებს შორის განსხვავება მინიმუმამდე შემცირდა.

— როგორ აფასებთ თქვენს შანსებს 15 სექტემბერს მატჩში?

— ვფიქრობ, „ნაპოლის“ დიდი სიფრთხილე მართებს. მე დავესწარი „დინამოს“ თამაშს „მეტალისტთან“, რამდენიმე მატჩი ტელევიზიითაც ვნახე. მშვენიერი გუნდია. განსაკუთრებით მომწონს შენგელია, ჩივაძე, ცავა... გავიგე ყიფიანი ტოვებს დიდ ფეხბურთს...

— სამწუხაროდ, ასეა. წლევანდელი სეზონის ბოლოს „დინამოს“ სტადიონზე მოეწყობა დიდი სპორტიდან დავით ყიფიანის ოფიციალური გაცილება.

ჩემს თანამოსაუბრეს რაღაც სინანულისმაგვარი დაეტყო სახეზე.

— ქართული და იტალიური ფეხბურთის განმასხვავებელი ნიშნები?

— თბილისელთა თამაშში ნოდარ ახალკაცის მადლიანი ხელი იგრძნობა — „დინამოს“ სათამაშო სქემას ერთობ მწყობრი, გეომეტრიული სახე აქვს. ამ თვალსაზრისით იტალიური კლუბები ცოტა არ იყოს, ჩამორჩებიან, სამაგიეროდ, ჩვენს გუნდებში მეტია იმპროვიზაცია.

— „ნაპოლის“ სავარაუდო შემადგენლობაზე რაიმეს ხომ არ გვეტყოდით?

— ალბათ აზრი არა აქვს, — თქვა პაოლო სპეკიამ და დაამატა: — ნაღდი შემადგენლობა შესაძლოა სულ სხვაგვარი გამოდგეს — არ მინდა დეზინფორმატორის როლში აღმოვჩნდე.

. ამასობაში თამაშიც დაიწყო.

მატჩს სპეციალისტებიცა და ფეხბურთის მოყვარულნიც ბუნებრივია, „ნაპოლისთან“ მომავალი ორთაბრძოლის საზომით მიუდგნენ. „დნეპრი“ უნებლიედ სპარინგპარტნიორის როლში აღმოჩნდა. ამ თვალსაზრისით საკმაოდ იმედისმომცემი გამოდგა პირველი ტაიმი. ორი გოლი სავსებით შეესატყვისება „დინამოს“ სწრაფ და აზრიან თამაშს. მე-6 წუთზე ცავა-შენგელია-მესხის კომბინაციას ისევ ცავას დარტყმა და გოლი მოჰყვა — 1:0. თბილისელები სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევენ მეტოქეს. ყველაფრით იგრძნობა, რომ მასპინძლებს პირველ ტაიმშივე სურთ მატჩის ბედის გადაწყვეტა. მე-17 წუთზე ძელს ხვდება შენგელიას დარტყმული ბურთი, მერე მესხი ჰკარგავს ანგარიშის გაზრდის კარგ შესაძლებლობას. 32-ე წუთზე „დინამომ“ მაინც გაიტანა თავისი — ჩივაძემ ძლიერად და ზუსტად დაარტყა საჯარიმო — 2:0.

საფიქრებელი იყო, რომ მეორე ტაიმს თბილისელები შედარებით მშვიდად ითამაშებდნენ. ვარაუდი არ გამართლდა. პირველი 5 წუთი „დინამო“ ისევ აზარტულად უტევს. თუმცა, 50-ე წუთზე საკუთარ კარში გაშვებულმა დასანანმა გოლმა მატჩის სცენარი მაინც სხვაგვარად წარმართა. „დნეპრი“ აქამდეც საკმაოდ უხეშად თამაშობდა, ერთი გოლის გაქვითვის შემდეგ კი მართალია, თავის „ტაქტიკაზე“ ხელი არ აუღია, მაგრამ რაკილა ქულის გადარჩენის შანსი გაუჩნდა, შესამჩნევად გააქტიურდა. მასპინძლებმა ინიციატივა დაკარგეს და როლების ამ შეცვლას შეიძლება ცუდი შედეგიც მოჰყოლოდა. თბილისელებმა დროზე გამოასწორეს მდგომარეობა — 72-ე წუთზე დარასელიამ ეფექტური გოლი გაიტანა სტუმართა კარში და მატჩი ფაქტიურად ამით დასრულდა კიდეც.

ი. ბერიაშვილი.

• • •

სურათებზე: მატჩის მომენტი; ნაპოლის მეორე მწვრთნელი პაოლო სპეკია „დინამოს“ სტადიონზე.

ა. კოტორაშვილისა და
კ. შანიძის ფოტოები.

* * *

სამი მატჩი

12 სექტემბერს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის სამი მატჩი.

ტაშკენტში „ფახთაქორმა“ მიიღო ალმა-ათის „ქაირათი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ერევნის „არარატმა“ უმასპინძლა ხარკოვის „მეტალისტს“. ანგარიში არც აქ გახსნილა — 0:0.

ოდესაში „ჩერნომორეცმა“ მიიღო კრასნოდარის „ყუბანი“. ოდესელებს გამარჯვება მოუტანა ერთადერთმა გოლმა 1:0.

• • •

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 14 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ თბ.	24	13	6	5	43—33	32
„დინ.“ მნ.	23	13	6	4	38—23	32
„სპარ.“	24	12	7	5	40—21	31
„არარ.“	25	10	8	7	34—34	28
„დინ.“ კ.	22	10	7	5	35—17	27
„მეტალ.“	25	10	7	8	28—24	27
„ჩერნ.“	24	8	10	6	22—20	26
„დნეპ.“	25	8	9	8	29—32	25
„ზენიტი“	24	8	8	8	30—28	24
„ფახთ.“	24	8	8	8	29—31	24
„დინ.“ მ.	25	9	5	11	31—33	23
„ტორ.“ მ.	24	8	5	11	23—27	21
„ყუბანი“	24	7	7	10	27—32	21
„ნეფთჩი“	24	8	4	12	32—46	20
ცსკა	25	7	6	12	29—37	20
„ქაირ.“	24	5	9	10	25—35	19
„ტორ.“ ქ.	24	5	7	12	30—39	17
„შახტ.“	24	5	7	12	26—39	17



„ნაპოლი“ თბილისშია

გუშინ ნეაპოლიდან თბილისში ჩამოფრინდა „ნაპოლის“ ფეხბურთელთა გუნდი. აეროპორტში სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ, რესპუბლიკის სპორტკომიტეტისა და „დინამოს“ ხელმძღვანელობამ, სპორტულმა ჟურნალისტებმა.

გუნდს თან ახლავს 15 ჟურნალისტი და ოცდაათამდე [illegible] ტურისტი. „ნაპოლის“ შემადგენლობაში თბილისელთათვის ნაცნობ 5 ფეხბურთელთან ერთად არიან არგენტინელი დიასი და ჰოლანდიელი კროლი.

დღეს საღამოს 6 საათზე „დინამოს“ სტადიონზე სტუმრები პირველ ვარჯიშს გამართავენ.

• •

კროლი, დიასი, პელეგრინი...

აგვისტო იტალიურ ფეხბურთში მეტად საინტერესო თვეა. გუნდიდან გუნდში დიდი გადასვლა-გადმოსვლაა, მიმდინარეობს მოლაპარაკება უცხოეთის კლუბებთან, იმართება ტრადიციული „ოთხთა ტურნირები“, იწყება თასის გათამაშება, სექტემბერში კი კლუბები ებმებიან ეროვნულ ჩემპიონატში, იმ ხანებშივე იწყება ევროპული საკლუბო თასების გათამაშება. იტალიური გუნდები წინათ წარმატებით გამოდიოდნენ ამ შეჯიბრებებში, ახლა კი მათ ზედიზედ ხვდათ წილად მარცხი, თუმცა აქაური კლუბები შეუპოვრად ცდილობენ მდგომარეობის გამოსწორებას.

„ნაპოლის“ მწვრთნელი ჯაკომინი, უნდა ვიფიქროთ, ჯერჯერობით კმაყოფილია აგვისტოთიც და სექტემბრითაც. გუნდმა წარმატებით დაძლია თასის პირველი ჯებირი, მთელი რიგი მოთამაშეები გამოსცადა „ოთხთა ტურნირშიც“, რომელიც ბერნში (შვეიცარია) ჩატარდა და სხვა საერთაშორისო შეხვედრებშიც. „ნაპოლის“ მესვეურებმა წარმატებით დაასრულეს მოლაპარაკება ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტთან“ არგენტინის ნაკრების ახალგაზრდა ცენტრფორვარდ რამონ დიასის ყიდვის შესახებ. „რივერ პლეიტი“ ეწვია ნეაპოლს და იტალიელებთან მატჩიც გამართა, სადაც დიასი უკვე თავისი ყოფილი თანაკლუბელების წინააღმდეგ თამაშობდა.

რახან „ნაპოლის“ არა ჰყავს დიდად გამოჩენილი იტალიელი ოსტატები, მას ძირითადად უცხოური „დუეტის“ — კროლისა (ჰოლანდია) და დიასის იმედი ექნება, მით უმეტეს, რომ კროლმა წინა სეზონშიც გამოიჩინა თავი.

რუუდ კროლი დაიბადა 1949 წელს, დაწინაურდა ამსტერდამის „აიაქსში“, სადაც მალე წამყვანი მოთამაშე გახდა. ჯერ განაპირა მცველად თამაშობდა, შემდეგ სტოპერად და ზოგმა მიმომხილველმა საოცარი მსგავსების გამო მას „მეორე ბეკენბაუერიც“ კი უწოდა. ასლი ყოველთვის ნაკლებ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ, როგორც ჩანს, კროლი არ ყოფილა მხოლოდ ასლი, ვინაიდან მისმა დიდმა ოსტატობამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. „აიაქსმა“ სამჯერ მოიგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, რაც კროლის გარკვეული დამსახურებაც იყო. ეს ფეხბურთელი განსაკუთრებით პოპულარული გახდა მსოფლიოს 1974 და 1978 წლების ჩემპიონატების შემდეგ, როცა ჰოლანდიელებს ვერცხლის მედლები დარჩათ. ახლა კროლი, რა თქმა უნდა, უკვე ვეტერანთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ „ნაპოლისთვის“ მაინც წამყვანი მოთამაშეა. გავიხსენოთ, რომ იგი აღიარებული იყო იტალიის № 1 ფეხბურთელად: ჰოლანდიის ნაკრებს იგი, გასაგებია, გამოეთხოვა.

რამონ დიასი თავისი სპორტული სახელით, ცხადია, ჯერ ვერ შეედრება კროლს, მაგრამ იგი 10 წლით უმცროსია მასზე. მან დიდი ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ 1979 წელს ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში, იმ ხნიდან მოყოლებული დიასი არგენტინის ეროვნული ნაკრების მოთამაშე გახდა (21 მატჩი), ორჯერ ითამაშა სსრ კავშირის ნაკრებთანაც, მონაწილეობდა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში. დიასმა ბევრი რამ შეიძინა ისეთი გამოჩენილი მწვრთნელებისგან, როგორებიც არიან ლ. მენოტი და ა. დი სტეფანი, (იგი სათავეში ედგა მის ყოფილ კლუბს „რივერ პლეიტს“). ახლა „ნაპოლის“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ დიასი, რომელმაც კარგად იცის მთავარი „საქმე“ — გოლის გატანა, თვალსაჩინო როლს შეასრულებს იტალიის პირველ ლიგაში.

პირდაპირ უნდა ითქვას, „ნაპოლის“ დანარჩენი ფეხბურთელები იტალიის ლიგაში მაინცდამაინც არ გამოირჩევიან და არც ეროვნულ ნაკრებში იწვევს მათ ვინმე. 1978 წელს, როცა „ნაპოლი“ თბილისელებს ეთამაშა, გამოირჩეოდა სავოლდი, რომელიც შემდეგ „ბოლონიაში“ გადავიდა და ცნობილ სკანდალშიც აღმოჩნდა გარეული. მომდევნო წლებში სავოლდის, როგორც სნაიპერის, ფუნქციების შესრულება „ნაპოლიში“ იკისრა პელეგრინიმ. 1981-1982 წლების ჩემპიონატში პელეგრინიმ 11 ბურთი გაიტანა. სხვა ქვეყანაში ეს არ იქნებოდა მაინცდამაინც დიდი მიღწევა, მაგრამ იტალიაში გოლი ძალიან ძვირად ფასობს. მკითხველი რომ ამაში თვით დარწმუნდეს, გადავხედოთ ჩემპიონატის გოლეადორთა სიას. პირველი შედეგი (15 ბურთი) ჰქონდა „რომას“ თავდამსხმელს პრუცოს (ესპანეთში არ ყოფილა). 12 ბურთით მეორე იყო ბივი „კატანძაროდან“, პელეგრინი კი 11 ბურთით მესამე ადგილზე გავიდა, 10 ბურთი გაიტანა „ფიორენტინის“ წევრმა ცნობილმა არგენტინელმა ბერტონიმ. მეორე მხრივ, ნაკრების მწვრთნელი ე. ბეარზოტი, როგორც ვხედავთ, თავდამსხმელებს არ აფასებს მხოლოდ ფორმალური მაჩვენებლების მიხედვით და ჩემპიონატის არც ერთი სნაიპერი „სკუადრა აძურაში“ არ შეუყვანია.

„ნაპოლის“ ძირითადი პრობლემა იყო და რჩება თავდასხმა. წინა ჩემპიონატის 30 მატჩში მან სულ 31 ბურთი გაიტანა, რაც თვით იტალიისთვისაც კი უფერულ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. დიასმა, გუნდის მესვეურების აზრით, ამ მხრივ უნდა გამოასწოროს საქმე. იტალიის თასის პირველ ეტაპზე „ნაპოლის“ საკმაო რაოდენობით გაჰქონდა გოლები, მაგრამ მას უმნიშვნელო ძალის მეტოქეები ჰყავდა. ნამდვილ გამოცდას გუნდი მხოლოდ იტალიის ჩემპიონატში და უეფა-ს თასზე ჩააბარებს.

რაც შეეხება მეკარეს და დაცვით ხაზებს, აქ „ნაპოლის“ უკეთ აქვს საქმე. თუ 1981-1982 წლების ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, რაიმე პრეტენზია არ წაუყენებიათ 37 წლის მეკარე კასტელინის მიმართ. იგი ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა. ვეტერანს ზოგჯერ ცვლიდა ასევე, ფრიად გამოცდილი, 29 წლის ფიორე. საერთოდ, ბოლო ხანებამდე „ნაპოლი“ თითქმის ვეტერანთა კლუბად ითვლებოდა. ზემოხსენებულებს რომ აღარ დავუბრუნდეთ, შეიძლება დავძინოთ, რომ ცნობილი სტოპერი, გუნდის კაპიტანი ბრუსკოლოტი 1951 წელს არის დაბადებული, შუა ხაზის ცნობილი მოთამაშე ჯიდეტი მისი ხნისაა, ნაკრების ყოფილი მცველი ბელუჯი და თავდამსხმელი დამიანი მათზე ერთი წლით არიან უფროსნი.

როცა „ნაპოლი“ 15 სექტემბერს თბილისელ მაყურებელთა წინაშე წარსდგება, სხვა ნაცნობ ფეხბურთელებსაც ვნახავთ. ეს გასაგებიცაა: 4 წელი ფეხბურთში არც ისე დიდი დროა. საინტერესო სხვაა — თუ რამდენად შეცვალეს „ნაპოლის“ თამაში მოწვეულმა უცხოელებმა, რაშია განსხვავება მაშინდელ მენაჯერ დი მარციოსა და ახლანდელ ხელმძღვანელ ჯაკომინის პრინციპებში?!

ვ. თხინვალელი.

● ჭადრაკი

დაწინაურდა ტალი

მოსკოვის საზონათშორისო ტურნირზე კიდევ ორი (IV, V) ტურის შეხვედრები გაიმართა.

IV ტურში მ. ტალმა ჯ. ვან დერ ვილს (ჰოლანდია) დააყრევინა ფარ-ხმალი. გ. კასპაროვი შეხვდა ე. გელერს. მეტოქეებმა თამაშის გამწვავებას თავი აარიდეს და პარტია ყაიმით დასრულდა. მესამე ლიდერმა, კუბელმა გ. გარსიამ დაამარცხა დ. საქსი (უნგრეთი).

ა. ბელიავსკიმ წააგო ი. მურეისთან (ისრაელი), მ. კინტეროსმა (არგენტინა) — ლ. კრისტიანსენთან (აშშ). დაზავდნენ — დ. ველიმიროვიჩი (იუგოსლავია) — უ. ანდერსონი (შვეცია). ფ. გეორგიუს (რუმინეთი) ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა რ. როდრიგესთან (ფილიპინები).

V ტურში კასპაროვმა და ტალმა უმწვავესი ბრძოლა გააჩაღეს „მ. ბოტვინიკის სისტემაში". კასპაროვმა ჯერ პაიკის, შემდეგ ფიგურის შეწირვით შეუტია ტალის პოზიციას. მოახლოებულ ცაიტნოტში ექს-ჩემპიონის წინადადებით შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ბელიავსკიმ უპირატესობა მოიპოვა გელერთან შეხვედრაში, მაგრამ პარტია 33-ე სვლაზე დამთავრდა: გელერმა დროს გადააცილა და მას წაგება ჩაეთვალა.

ყაიმით დასრულდა ანდერსონ — საქსის შეხვედრა. ოთხი პარტია გადაიდო.

5 ტურის შემდეგ ლიდერობს მ. ტალი — 4 ქულა. გ. გარსიას 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, გ. კასპაროვს — 3,5.

ვ. შ. რამიშვილი

47 წლისა გარდაიცვალა სპორტის ოსტატი ვლადიმერ შალვას ძე რამიშვილი. 50-იანი წლების ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ რამიშვილის მაღალტექნიკური თამაში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რამიშვილი ფეხბურთის სიყვარულმა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში მიიყვანა. ამ გუნდის წარმატებებში ცოტა წვლილი როდი მიუძღვის ვლადიმერს. სამი წელი გამოდიოდა რამიშვილი არმიელთა რიგებში. ნიჭიერი, მონდომებული ფეხბურთელი შეუმჩნეველი არ დარჩა. მალე იგი რესპუბლიკის უპირველეს გუნდში, თბილისის „დინამოში" მიიწვიეს. აქაც თავი გამოიჩინა. როგორც საზრიანმა, კორექტულმა სპორტსმენმა. რამიშვილმა სამი წელი დაჰყო თბილისის „დინამოში" (1957-60 წლები) და თამაშის ხელწერით სამუდამოდ დაამახსოვრდა გულშემატკივრებს.

1960-65 წლებში რამიშვილი ჯერ რუსთავის „მეტალურგში" თამაშობდა, ხოლო შემდეგ ბათუმის „დინამოში".

1965 წლის შემდეგ რამიშვილი აქტიურ სპორტს ჩამოშორდა და მთელი თავისი ნიჭი და მონდომება ქართული ფეხბურთის მომავალს, ბავშვებს მიუძღვნა — განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ ფეხბურთის გუნდს წვრთნიდა. 1970 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე „ავაზაში" სახელოვანი ფეხბურთელის მიხეილ მესხის გვერდით იდგა და ქართული ფეხბურთის მომავლისათვის ზრუნავდა.

ვ. რამიშვილი — შესანიშნავი ფეხბურთელი და კარგი აღმზრდელი — მარად ემახსოვრებათ მის კოლეგებს და აღზრდილებს.

საქართველოს ფეხბურთის სამმართველო,
თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელები.

სოფლის სპორტსმენთა IV საკავშირო თამაშები

პირველი სტარტები, პირველი მედლები

შაბათს სმოლენსკის „სპარტაკის" სტადიონზე საზეიმოდ აღიმართა სოფლის სპორტსმენთა IV საკავშირო თამაშების ალამი. დღეს კი უკვე ამთავრებენ შეჯიბრებას ძიუდოისტები. როგორც არ უნდა გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები ბოლო შეხვედრებში, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ წინა თამაშებთან შედარებით ჩინებულად იასპარეზეს.

მესამე თამაშებზე ჩვენმა სპორტსმენებმა ერთადერთი „ოქრო" და ორი „ბრინჯაო" მოიპოვეს. ახლა კი მათ ანგარიშზეა ორი ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედალი. ჩვენი ძიუდოისტებისთვის განსაკუთრებით ბედნიერი გამოდგა შეჯიბრების წინა დღე, როცა სამ წონით კატეგორიაში გამართულ შეხვედრაში ქართველმა ძიუდოისტებმა მოიპოვეს მედლები.

ოქროს მედალი ორჯონიკიძელმა დ. გელაშვილმა დაისაკუთრა. დავითი 86 კგ-მდე წონითი კატეგორიის მოჭიდავეებთან გამოდიოდა. პირველ წრეში მან წმინდად გაიმარჯვა ლატვიის წარმომადგენელ ა. მარკოსთან, მეორე წრეში ა. ბადეიანს (სომხეთი) სძლია წმინდად, მესამეში კი ჩვენი უკრაინელი თანამემამულე დ. თურმანაული ქულებით დაამარცხა და ფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე აზერბაიჯანელი მ. რაჯაბლი იყო და ვერც ის გადაურჩა დამარცხებას. დავითი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტია. მან ძიუდოში ვარჯიში ტარიელ შანიძის ხელმძღვანელობით დაიწყო. ახლა კი ბიძინა მაზიაშვილი და შალვა ტეტიაშვილი ავარჯიშებენ.

მეორე ოქროს მედლით გაგვახარა კასპელმა ოთარ გურაშვილმა (95 კგ-მდე). მას თავიდანვე ძლიერი მეტოქე — ახალგაზრდათა შორის ევროპის ჩემპიონი ა. ბიმბევი (ყაზახეთი) შეხვდა. ქართველმა ფალავანმა სამი ქულის უპირატესობით გაიმარჯვა. მეორე წრეში ოთარმა წმინდად დაამარცხა ასემბერგი (ესტონეთი), ხოლო მესამეში ვაზარით მოუგო სსრ კავშირის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონს, რსფსრ-ის წარმომადგენელს ა. გონკს. ფინალში მან წმინდა გამარჯვებას მიაღწია მოლდაველ მ. ემანოვთან და მეორედ გახდა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების ჩემპიონი.

ყურაშვილი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი წევრია. მისი მედლების კოლექციაშია ახალგაზრდებში სსრ კავშირის ჩემპიონის სამი მედალი; საკავშირო პირველობის ბრინჯაო, გდრ-ში, უნგრეთში, კორეაში, კუბაში, აზიაში და სხვაგან გამართულ საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული ოქროს მედლები.

ოთარს ტეტიაშვილი და კაციაშვილი ავარჯიშებენ. თავის მხრივ ყურაშვილსაც ჰყავს მოსწავლეები — პატარებს ავარჯიშებს.

ჩვენს გუნდში ყველაზე გამოცდილია კასპელი ნოდარ ნუგზარიშვილი (95 კგ) — საკავშირო პირველობების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი, სტუდენტთა მრავალი ჩემპიონატის ოქროს მედლის მფლობელი.

ნოდარმა სმოლენსკის სარბიელზე ფინალში იოლად დაჯაბნა მეტოქენი. წმინდად დაამარცხა უკრაინელი ო. მანანენკო, ტაჯიკი ვ. აბდულაევი და ერევნელი ე. გრიგორიანი. ფინალში კი რსფსრ-ის წარმომადგენლის გ. კუბაევის პირისპირ დადგა.

ამ პაექრობამდე ნუგზარიშვილი და კუბაევი შვიდჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველ ხუთ ბრძოლაში ქართველმა ძიუდოისტმა იმარჯვა, მერვე პაექრობაში კი ნუგზარიშვილი ზედიზედ მესამედ დამარცხდა კუბაევთან და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

გუშინ ორივე ფალავანი აბსოლუტური პირველობისთვის ბრძოლაში შეხვდა ერთმანეთს. ნუგზარაშვილს ვერცხლის მედალი ხვდა წილად.

გუშინ ტატამზე ჩვენი რესპუბლიკის კიდევ სამი წარმომადგენელი გამოვიდა. სამწუხაროდ, თელაველი გივი ფოთოლაშვილი (75 კგ-მდე) პირველსავე ორთაბრძოლაში დამარცხდა და გუნდს ვერაფერი არგო. ლენინგორელი დ. ოდიშვილი (71 კგ-მდე) ბრინჯაოს მედლისთვის იბრძოდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

მეტად მომქანცველი დღეები ჰქონდა ლენტეხელ გ. გუგავას (78 კგ). მან პირველ შეხვედრაში წმინდად გაიმარჯვა. მეორეში ვაზარით აგებდა და ბოლოს იპონით იმარჯვა. ამ მძიმე შეხვედრის შემდეგ გუგავას ჯერ ოფლიც არ შეშრობოდა, რომ კვლავ სარბიელზე უხმეს. ამჯერად ვაზარით გაიმარჯვა.

ფინალში გუგავას პირისპირ ა. იაკოვლევი (რსფსრ) დადგა. ლენტეხელმა კვლავ დიდი მონდომებით იბრძოლა, თავს არ ზოგავდა, მაგრამ ველარაფერს გახდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში ჩვენს გუნდელთაგან თავი გამოიჩინეს 4X100 მ-ზე მორბენალმა ვაჟებმა: ი. დმიტრიევმა, ი. ბაევმა, რ. ლიპარტიამ და ლ. ტერესენევმა, რომლებმაც ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

საგზატკეცილო ველომრბოლელთა 50 კმ-ზე გუნდურ რბოლაში ჩვენმა ქალებმა IX ადგილი დაიკავეს. ამავე მანძილზე იუნიორ ვაჟთა წყვილების რბოლაში თბილისელები გია გალავანიშვილი და ავთანდილ მიკუჩაძე XVIII ადგილზე გავიდნენ. მომდევნო ადგილზე არიან მათი თანაგუნდელები ლევან ოგანეზოვი და ჯონი წივაძე. ვაჟთა რბოლებში XXIV იყვნენ თბილისელები პ. ვერიგინი და ა. პირუშინი, ხოლო რ. წაქაძე და ა. ცხოვრებაძე — XXVIII, ყველა მათგანმა საქართველოს გუნდს ჩათვლა მისცა.

მოკრივეთა შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან პირველი შეხვედრები მოიგეს სოხუმელმა ა. ანტონიდიმ (54 კგ), ახალქალაქელმა ა. ანტონიანმა (60 კგ), თბილისელებმა დ. უსუფიანმა (65), გ. თაქთაქიშვილმა (75) და ქუთაისელმა მ. ოქრუაძემ. სოხუმელი მძიმეწონოსანი ა. უნუკიანი ჯერ სარბიელზე არ გამოსულა. ჩვენი დანარჩენი მოკრივეები დამარცხდნენ და ბრძოლას გამოეთიშნენ.

ა. გურასაშვილი.
(„ლელოს" სპეც. კორ.).
სმოლენსკი.

* * *

კიევში „გახსნის პრიზზე" ცხენოსანთა ასპარეზობაში ტ. ჯლარკავამ IX ადგილი დაიკავა.

მინსკში მიმდინარე ნიჩბოსანთა ასპარეზობაში სამი დღის შემდეგ საქართველოს წარმომადგენლები IX ადგილზე არიან — 712 ქულა.

ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში

ათენი ემშვიდობება „სპორტის დედოფალს"

ათენი. ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატის ბოლოსწინა დღეს გაიმართა ვაჟთა ესტაფეტა 4X100 მეტრზე. იმ ჭექა-ქუხილში, წყლიან ბილიკზე (ოფიციალური მეტეოროლოგიური სტატისტიკის მონაცემებით, წლის ამ დროს პირველად მოწვიმა 100 წლის მანძილზე) საბჭოთა ოთხეულმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. კიეველმა ს. სოკოლოვმა, ლენინგრადელმა ა. აკსინინმა, სვერდლოვსკელმა ა. პროკოფიევმა და მოსკოველმა ნ. სიდოროვმა ესტაფეტა 38,60-ში განვლეს და 0,11-ით გაუსწრეს გდრ-ისა და გფრ-ის კვარტეტებს, რომელთაც შესაბამისად II და III ადგილები ფოტოფინიშმა არგუნა.

1500 მეტრზე რბენაში პირველი იყო ლენინგრადელი ო. დვორნა — 3.57,80, მეორე ადგილზე გავიდა ზ. ზაიცევა (ანდიჟანი) — 3.58,82.

4X400 მ-ზე ქალთა ესტაფეტა ახალი მსოფლიო რეკორდით (3.19,05) მოიგო გდრ-ის კვარტეტმა (კ. სიმონი, ს. ბუში, დ. რიუბზამი და მ. კოხი). ეს ათენის ჩემპიონატის მეოთხე მსოფლიო მიღწევაა.

4X400 მეტრზე ვაჟთა ესტაფეტაში კი საბჭოთა ოთხეული (მოსკოველები ა. ტროშილოვი და პ. როშჩინი, როსტოველი პ. კონოვალოვი და ნოვოსიბირსკელი ვ. მარკინი) III ადგილზე (3.00,80) დარჩა გფრ-ისა (3.00,51) და დიდი ბრიტანეთის (3.00,68) გუნდების შემდეგ.

საბჭოთა სპორტსმენებმა ამ დღეს რამდენიმე ვერცხლის ჯილდო მოიპოვეს. 110 მეტრზე თარჯრბენში ა. პროკოფიევი ჩემპიონს ტ. მუნკელტს (გდრ) 0,05-ით ჩამორჩა. ჩემპიონის დრო 13,41. გომელელ ნ. კიროვს 1500 მეტრზე რბენაში ოქროს მედლის მოპოვება შეეძლო, ფინიშის სწორზე გასულს ოდნავ ადრე რომ მოემატებინა ტემპისთვის. იგი მეორე ადგილზე გავიდა (3.36,99) ინგლისელი ს. კრემის (3.36,49) შემდეგ.

წარუმატებლად გამოვიდნენ ჩვენი სიმაღლეზე მხტომელები. ოქროს მედალი მოიპოვა დიტმარ მეგენბურგმა (გფრ), რომელმაც 230 სმ სიმაღლე დაძლია.

ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატი მარათონული რბენით დასრულდა, რომელშიც ქალები პირველად მონაწილეობდნენ. 42 კმ და 195 სმ ყველაზე სწრაფად დაფარა რ. მოტამ (პორტუგალია) — 2:36.03. II ადგილზე გავიდა ლ. ფოლი (იტალია) — 2:36,28, მესამეზე — ი. კრისტიანსენი (ნორვეგია) — 2:36,30. ვაჟთა სამეული ასე გამოიყურება: ნ. ნეიბური (ნიდერლანდები) — 2:15,16, ა. პარმანტიერი — 2:15.51, კ. ლისმონი (ორივე — ბელგია) — 2:16.05.

ჩემპიონატის ტაბლო

ვაჟები. უროს ტყორცნა. 1. ი. სედიხი — 81 მ 66 სმ; 2. ი. ნიკულინი — 79 მ 44 სმ; 3. ს. ლიტვინოვი (სამივე — სსრ კავშირი) — 78 მ 66 სმ.

სამხტომი. 1. კ. კონორი (ინგლისი) — 17 მ 29 სმ; 2. ვ. გრიშჩენკოვი (სსრ კავშირი) — 17 მ 15 სმ; 3. ბ. ბაკოში (უნგრეთი) — 17 მ 04 სმ.

50 კმ-ზე სიარული. 1. რ. სალონენი (ფინეთი) — 3:55.29; 2. ხ. მარინი (ესპანეთი) — 3:59.18, 3. ბ. გუსტაფსონი (შვეცია) — 4:01,21.

3000 მ. წინაღობებით. 1. პ. ილგი (გფრ) — 8.18,52: 2. ბ. მამინსკი (პოლონეთი) — 8.19,22; 3. დ. რამონი (ესპანეთი) — 8.20,48.

ქალები. 400 მ თარჯრბენი. 1. ა.-ლ. სკოგლუნდი (შვეცია) — 54,58, 2. პ. პფაფი (გდრ) — 54,90; 3. შ. რეგა (საფრანგეთი) — 54,94.

შვიდჭიდი. 1. რ. ნოიბერტი 6622; 2. ს. მებიუსი (ორივე — გდრ) — 6595; 3. ს. ევერტსი (გფრ) — 6420.

● ფრენბურთი

ლიმა. კულტურისა და სპორტის სასახლე „ამაუტაში" 15 ათასი მაყურებლის თანდასწრებით საზეიმოდ გაიხსნა ფრენბურთელ ქალთა IX მსოფლიო ჩემპიონატი.

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პოლ ლიბომ (საფრანგეთი) და პერუს განათლების მინისტრმა ხოსე ბენავიდესმა წარმატებები უსურვეს სპორტსმენებს.

ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში პერუს გუნდმა სძლია ინდონეზიელ სპორტსმენებს — 3:0 (15:2 15:0, 15:3). (საკდესი).

პანორამა

● კრივი

შვერინში დამთავრდა იუნიორ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა მოკრივეებმა. ოქროს მედლები მოიპოვეს რ. კაბიროვმა (48 კგ წონითი კატეგორია), ე. ხაკიმოვმა, (60), ბ. ქერაროვმა (71), ი. ვაულინმა (91), ა. პოპოვმა (91), და ვ. ალდოშინმა (91 კგ-ს ზევით). მათ თანაგუნდელებს კი სამი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი ერგოთ. კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ ბულგარელები ი. ფილჩევი (51) და ბ. ბლაგოევი (57), გდრ-ის წარმომადგენლები ზ. მანერტი (63,5) და ტ. შმიტცი (67), იტალიელი მ. სტეკი (54) და ინგლისელი ე. კრისტი (75).

რედაქტორის მოადგილე
შ. ჩიჩინაძე.

თბილისის განათლების სამმართველოს ველოსპორტის სკოლის დირექცია

ა ც ხ ა დ ე ბ ს

1968-1971 წლებში დაბადებული გოგონებისა და ვაჟების მიღებას 1982-83 სასწავლო წლისათვის.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სპორტული სკოლის დირექციას. მისამართი: თბილისი, კამოს ქ. 89.

ტელ: 95-22-67.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 ИНДЕКС 66435

უე 08452